



ხაშურის მუნიციპალიტეტის საკრებულო

განკარგულება № 145



2011 წლის 28 ოქტომბერი
ქალაქი ხაშური

საწვავი ხის მასალის (შეშის) გამარტივებული შესყიდვით განხორციელების შესახებ

2011 წლის 12 ოქტომბერს (სატენდერო განცხადება (SPA 110026156) გამოცხადებული იყო გამარტივებული ელექტრონული ტენდერი საწვავი ხის მასალის (შეშის) შესყიდვაზე, რომელსაც 24 ოქტომბერს მიენიჭა სტატუსი „დასრულებულია უარყოფითი შედეგით“. 2011 წლის 24 ოქტომბერს განმეორებით გამოცხადდა (სატენდერო განცხადება (SPA 110026999) გამარტივებული ელექტრონული ტენდერი საწვავი ხის მასალის (შეშის) შესყიდვაზე, რომელსაც 2011 წლის 27 ოქტომბერს მიენიჭა სტატუსი „ტენდერი არ შედგა“. ხაშურის მუნიციპალიტეტის გამგეობის სახანძრო დაცვის სამსახურისათვის საწვავი ხის მასალის (შეშის) შესყიდვა კი აუცილებლობას წარმოადგენს.

„ადგილობრივი თვითმმართველობის შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 43-ე მუხლის მესამე პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტის და „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-10¹ მუხლის მე-3 პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტის საფუძველზე:

1. განხორციელდეს ხაშურის მუნიციპალიტეტის გამგეობის სახანძრო დაცვის სამსახურისათვის საწვავი ხის მასალის (შეშის) გამარტივებული შესყიდვა.
2. დაევალოს ხაშურის მუნიციპალიტეტის გამგეობას განახორციელოს კანონმდებლობით გათვალისწინებული ყველა საჭირო ღონისძიება, რაც დაკავშირებულია ამ განკარგულების პირველი პუნქტის შესასრულებლად.
3. ეს განკარგულება ძალაში შევიდეს ხელმოწერისთანავე.
4. ეს განკარგულება შეიძლება გასაჩივრდეს ხაშურის მუნიციპალიტეტის საკრებულოში (ქ. ხაშური, ტაბიძის ქ. N2), ხოლო შემდეგ ხაშურის რაიონულ სასამართლოში (ქ. ხაშური, კოსტავას ქ. N15) ერთი თვის განმავლობაში.

საკრებულოს თავმჯდომარე
დავით ლომიძე

